საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მნიშვნელობა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით

ქეთევან ლორია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბისზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: კერძო (ბისზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ზანდუკელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ლორია

2021 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლს, რომლის წარმოსაჩენადაც ნაშრომი ზოგადად ბავშვთა უფლებების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასაც შეეხება. ასევე კანონმდებლობას, რომლითაც სახელმწიფო ინსტიტუტი - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ხელმძღვანელობს საქმიანობის განხორციელებისას. ნაშრომში განხილულია მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშთა მდგომარეობის მხრივ არსებული სიტუაცია თანამედროვე საქართველოში. აღნიშნული, იძლევა საშუალებას შეფასდეს არსებული მდგომარეობა, დაისახოს სამომავლო გეგმები და განახლებული მიდგომების გამოყენებით შემუშავდეს სტრატეგიები.

ნაშრომში გამოკვეთილია მეურვეობისა და მზრუნველობის ინტიტუტის მიერ გაწეული სოციალური მუშაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. განხილულია არასრულწლოვნებთან სოციალური მუშაობის განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემური საკითხები, ასევე განხილულია მიდგომები, რომელთა პრაქტიკაში გამოყენება ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას ემსახურება. მთლიან ნაშრომში კი ყურადღება გამახვილებულია ბავშვთა უფლებების დაცვის სენსიტიურ ბუნებაზე და ინდივიდუალური მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.

ნაშრომის მეორე თავი მიძღვნილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით განხორციელებულ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციებთან ჰარმონიზაციის პროცესი ნაშრომშიც პრობლებლემური საკითხების პარალელურად

მეტწილად ყურადღება გამახვილებულია სფეროში მიმდინარე პოზიტიურ ტენდენციებზე.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის საუკეთესო ინტერესი; სოციალური მომსახურების სააგენტო; სოციალური მუშაობა;

Abstract

This master's summery thesis is reffered with the role of the guardianship and custody institutions in the process of protection of children's rights in Georgia, for presentation of issue this thesis also deals with the legislation in the field of children's rights in general. As well as the legislation governed by the state body - the Institute of Guardianship and Custody - while carrying out its activities. The thesis discusses the current situation of these children who were left without proper care in modern Georgia. This in turn allows us to see the current situation, make future plans and develop strategies using updated approaches.

The thesis highlights the important role of social work made by the Institute of Guardianship and Custody in the field of child protection. Problematic issues raised in the implementation of social work with minors are discussed, as well as approaches, the use of which in practice serves to protect the best interests of the child. Throughout the thesis, the focus is on the sensitive nature of child rights protection and the need to develop individual approaches.

The second chapter of the paper is dedicated to some of the most important activities carried out by the guardianship and custody body in terms of protection of children's rights. Considering that the process of harmonization of legislation is actively underway in Georgia, the thesis, in parallel with the problematic issues, focuses on the current positive trends in the field.

Keywords: best interest of the child; Social Service Agency; Social work.